სამუშაო ვიზიტი World Archery-სა და World Archery Excellence Centre-ში

საქართველოს მშვილდოსნობის ეროვნული ფედერაციის გენერალურმა მდივანმა, მეცნიერებათა დოქტორმა ბესიკ ობოლაძემ და აღმასრულებელმა მდივანმა არტემ სანიშვილმა ოფიციალური სამუშაო ვიზიტი გამართეს მშვილდოსნობის მსოფლიო ფედერაციაში (World Archery) და World Archery Excellence Centre-ში. (შვეიცარია, ლოზანანა, ჟენევა)

ვიზიტის ძირითადი მიზანი იყო ფედერაციის მიერ მიმდინარე წლის 1 მარტს დამტკიცებული 2025–2032 წლების განვითარების 7-წლიანი სტრატეგიის პრეზენტაცია და საერთაშორისო პარტნიორებთან ერთობლივი სამუშაო პროგრამების განხილვა.

ვიზიტის ძირითადი შედეგები და შეხვედრები

ლოზანაში (შვეიცარია), მშვილდოსნობის მსოფლიო ფედერაციის ცენტრალურ ოფისსა და World Archery Excellence Centre- ში გამართული შეხვედრების ფარგლებში:

სტრატეგიის პრეზენტაცია: ბესიკ ობოლაძემ დეტალურად წარადგინა საქართველოს ფედერაციის 7-წლიანი განვითარების სტრატეგია, რომელიც მოიცავს 12 ძირითად მიზანს, მათ შორის „Olympic Reserve-Road 2032“ და „Elite Transformation“ ინიციატივებს.

საერთაშორისო შეფასება: დოკუმენტმა მსოფლიო ფედერაციის ხელმძღვანელობის მხრიდან მაღალი შეფასება დაიმსახურა. აღინიშნა მისი სრული თავსებადობა საერთაშორისო ფედერაციის სტანდარტებთან, რაც მყარ საფუძველს ქმნის საქართველოს წარმატებული ჩართულობისთვის გლობალურ საექსპერტო და საგრანტო პროგრამებში.

პროგრამული თანამშრომლობა: მხარეებმა განიხილეს „ცოდნის გაზიარების პროგრამა 2026-ის“ (Knowledge Sharing Programme) ფარგლებში თანამშრომლობის პერსპექტივები. პრიორიტეტულ მიმართულებებად განისაზღვრა მწვრთნელთა გადამზადება (Level 1, Level 2), ეროვნული მსაჯების კურსები, პარამშვილდოსნობის განვითარება და შეჯიბრებების მართვის (Event Management) სემინარები.

ვიზიტი World Archery Excellence Centre-ში

ოფიციალური ვიზიტის ფარგლებში ქართული დელეგაცია ეწვია World Archery Excellence Centre-ს, სად წარმატებული საქმიანი შეხვედრები გაიმართა ცენტრის ხელმძღვანელობასთან:

შეხვედრები ჩატარდა საერთაშორისო ფედერაციის განვითარების დეპარტამენტის ხელმძღვანელთან სესილია ვისკარა მოსერთან (Cecilia Viscarra Moser) და World Archery Excellence Centre-ის დირექტორთან სირეტ ლუიკთან (Siret Luik), მოხდა საქართველოს მშვილდოსნობის 7 -წლიანი განვითარების სტრატეგიის წარდგენა

ქართულმა მხარემ დეტალურად დაათვალიერა ცენტრის თანამედროვე ტექნოლოგიური ინფრასტრუქტურა და სავარჯიშო ბაზები, რომელთა გამოცდილებაც საქართველოში სპორტული მენეჯმენტისა და წვრთნის პროცესის სრულყოფისთვის იქნება გამოყენებული.

აღნიშნული ვიზიტი წარმოადგენს სტრატეგიულად მნიშვნელოვან ნაბიჯს ქართული მშვილდოსნობის საერთაშორისო ინტეგრაციის, სპორტსმენთა გადამზადების , მწვრთნელთა და მსაჯთა კვალიფიკაციის ამაღლებისა და გრძელვადიანი, მდგრადი განვითარების გზაზე.

Open House
Schedule/Capacity
Coaching Conference
Instructor Course
Define Resources; initial estimation
Discuss with Howard and Tim

1 ARCHERS PARADOX
2 ENERGY CONVERSION
უსაფრიხოების სფეროს
მკვლევართა ასოციაცია
BALLISTIC TRAJECTORY
RECURVE GEOMETRY
მშვილდოსნობის
ფედერაცია
2026
NEUROMUSCULAR CONTROL
$\int F(x)dx$
Rhomboids
Trapezius
Ophromboids


ეროვნული მშვილდოსნობის ფედერაციის
საარჩევნო ყრილობის შედეგები
1 მარტი, 2026 წელი | Tbilisi, Georgia
ელიტარული
ტრანსფორმაცია
ახალგაზრდა
ტალანტები-ოლიმპიური
რეზერვი—გზა 2032
ყრილობის გადაწყვეტილება
საქართველოს მშვილდოსნობის

world archery